ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 144

“ 26 ” დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. №23ა-ში მდებარე №1 და №8 ბინების (საკადასტრო კოდები: 01.12.12.001.407.01.01.001; 01.12.12.001.407.01.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. №23ა-ში მდებარე №1 და №8 ბინების (საკადასტრო კოდები: №01.12.12.001.407.01.01.001; №01.12.12.001.407.01.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 24.12.2025წ. №25.2275.2568 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. №23ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 58 კვ.მ. №1 ბინის (ს/კ. №01.12.12.001.407.01.01.001) და ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. №23ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 46.20 კვ.მ. №8 ბინის (ს/კ. №01.12.12.001.407.01.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ლევან აჯიაშვილისთვის (პ/ნ. 01024005603) საკუთრებაში გადაცემაზე, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე